ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N45

ქ.თბილისი 16 აგვისტო, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი გაბაშვილი
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
გოჩა თევდორაძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ებანოიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილის თქმით, კარგია, რომ საკრებულოს ბიურომ გაითვალისწინა ოპოზიციის ინიციტივა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოიღო საკითხები, რომლებიც მოითხოვს დამატებით შესწავლას. ისაუბრა თბილისის ზღვაზე წყლის დაბინძურებაზე და განაცხადა, რომ გარემოს დაცვის კომისიის სხდომაზე მიცემული დაპირება, რომ საკრებულო იმუშავებს პრობლემის მოგვარებაზე, დაპირებად არ დარჩეს, რადგან არსებული მდგომარეობა ეპიდემიის და ეკოლოგიური კატასტროფის შექმნის საფრთხეა. მართალია, უმრავლესობის მტკიცებით, წყლის ხარისხს პრობლემა არ აქვს, თუმცა, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ წყალი, რომელიც თბილისელების ნაწილს მიეწოდება, მავნეა თუ არა. ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა თბილისის მერის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ 15 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაო უხარისხოდ იქნა შესრულებული და დაინტერესდა, დედაქალაქის მერია უნდა უწევდეს თუ არა ზედამხედველობას, ქალაქში მიმდინარე ამა თუ იმ სამუშაოების შესრულების ხარიხს და თუ არ ხდება კონტროლი, როგორც ხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და თანხის გადარიცხვა. ასევე, საინტერესოა, ყველა ეს ეტაპი გავლილია და თანხაც გადარიცხულია, კომპანიის გარდა, ხომ არ უნდა დადგეს კონკრეტული სამართალო მოხელეების და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წყლის ხარისხს, რომელიც მიეწოდება თბილისის მოსახლეობას, არანაირი პრობლემა არ აქვს, რადგან ის დაცული ზონებიდანაა და არაერთ ფილტრაციას გადის უმაღლესი ტექნოლოგიის ლაბორატორიებში. რაც შეეხება იმას, რომ გარკვეულ ლოკაციაზე არის პრობლემა, მის გადასაჭრელად მიმდინარეობს სამუშაოები. ისაუბრა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულ საკითხებზე, აღნიშნა, რომ სანაპიროს განვითარებასთან დაკავშირებით არის არაერთი ხედვა და ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის რეკომენდაციით, უმჯობესია მოხდეს საკითხის დეტალურად გააზრება. რაც შეეხება კახეთის გზატკეცილზე შესრულებულ სამუშაოებს, აღსანიშნავია, რომ ჩატარდა მასშტაბური სამუშაოები, სადაც არის გარკვეული ხარვეზები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესრულებული სამუშაო სრულად არის უხარისხო. გიორგი ტყემალაძის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი ხარვეზი იყოს აღმოფხვრილი ისე, რომ ქალაქის ბიუჯეტმა არ მიიღოს ზიანი.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა სატრანსპორტო პოლიტიკა და ინფრასტრუქტურული ნაწილი, სადაც მიმდინარე წელს იხარჯება „რეკორდული თანხა“ და ამ მიმართულებით განცხადებების გაკეთებამდე, უმჯობესია, ოპოზიციის წარმომადგენლებმა კვალიფიციურად შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი. მისი თქმით, როდესაც ხორციელდება მასშტაბური საგზაო სამუშაოები, კონტრაქტის მიხედვით, იდება სამწლიანი საგარანტიო ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი იტოვებს 2.5% საბანკო გარანტიას იმისთვის, რომ ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა კომპანიამ საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი.

ბექა დავითულიანმა თბილისის ზღვაზე არსებულ წყლის პრობლემაზე განაცხადა, რომ არავითარი ეპიდემიის საფრთხე არ არსებობს წყლის ხარისხში, რაზეც ოფიციალური განცხადება გააკეთა როგორც კომპანიამ „GWP“, ასევე გარემოს დაცვის სამინისტრომ და წყლის ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს 24 საათიან რეჟიმში. რაც შეეხება, ზოგადად, იქ არსებულ პრობლემას, მის მოსაგვარებლად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები - დადგენილია სანიტარული ზონები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ ზონების გაფართოების სამუშაოები, რათა აღარ არსებობდეს არავითარი ანტისანიტარიის წერტილი. რაც შეეხება სასმელ წყალს, უნდა აღინიშნოს, რომ ხოლო იმ წყლის ამოღება, რომელიც მიეწოდა

მოსახლობას, არ ხდება დაბინძურებული არეალიდან. საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულ საკითხზე აღნიშნა, რომ ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის რეკომენდაციით, იმ არეალში შენობის განთავსება შესასწავლია ესთეტური ურბანული თვალსაზრისით. ასევე, ისაუბრა კახეთის გზატკეცილზე განხორციელებულ საგზაო სამუშაოებზე და აღნიშნა, რომ გარკვეული ხარვეზის გამო სამუშაოს ჩაბარების გადადება, რაც გამოიწვევდა პრობლემებს, არ იყო მიზანშეწონილი. დაფიქსირდა ხარვეზი, რაზეც თბილისის მერს ჰქონდა აბსოლუტურად სწორი რეაგირება, რის შემდეგაც კონტრაქტორმა კომპანიებმა დაიწყეს ხარვეზის გამოსწორება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის ნაცვლად, უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები და ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს ჩაბარდება გამართული პროექტები. საკრებულოს რიგაარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულ საკითხზე აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიურომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, თუმცა საინტერესოა როგორ და რატომ ხდება „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების, შემომწირველების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის უფლებრივად ნაკლიანი ქონების სანაცვლოდ, მილიონობით ლარის ღირებულების თბილისელების ქონების გადაცემა. ლილე ლიპარტელიანმა ასევე, ისაუბრა თბილისში, ერთ-ერთი ქუჩისთვის ზურაბ პატარიძის სახელის მინიჭებაზე და განაცხადა, რომ საკრებულომ კენჭი უნდა უყაროს და მისმა უმრავლესობამ უნდა დააფიქსიროს თანხმობა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარიძის სახელის მინიჭებაზე. მისი თქმით, „მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია ალბათ, რომ გრიგოლ ფერაძე გამოვაცხადოთ წმინდანად, ქართველების წინაშე დამსახურებისთვის რომელიმე ქუჩას მივანიჭოთ პოლონელი მარშალის პილსუდსკის სახელი და ამ ყველაფრის შემდგომ უკვდავყოთ საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელი“.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ეს ქუჩა არსებობს უკვე დიდი ხანია. მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩის გაგრძელების საკითხი და იქიდან გამომდინარე, რომ მცირე მონაკვეთი ისევ რჩება ძველი სახელწოდებით, საჭიროა მისთვის სახელის მინიჭება. თუმცა, მომავალში შესაძლებელია ამ ქუჩისთვის სახელის გადარქმევაზე მსჯელობა.

ერეკლე კუხიანიძემ კომენტარი გააკეთა წყლის დაბინძურებაზე და განაცხადა, რომ თბილისის ზღვაზე არსებული პრობლემა არანაირ ხიფათს არ უქმნის სასმელი წყლის დაბინძურებას. თუმცა, აუცილებლად უნდა შევეცადოთ აღნიშნული პრობლემის მაქსიმალურად მცირე დროში აღმოფხვრას. მისი თქმით, ოპოზიციის მხრიდან გაკეთებული განცხადებები, თითქოს არსებობს ეპიდემიის საფრთხე, იწვევს მოსახლეობის შეშფოთებას და ზედმეტ დაძაბულობას და ამიტომ, მსგავსი განცხადებების გაკეთება, საკითხში დეტალურად გარკვევამდე, მიზანშეწონილი არ არის.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მონაცვლეობის საკითხებს განიხილავს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც დგება ყველა მონაცვლეობის დროს. მისი თქმით, როდესაც სახეზეა საჯარო ინტერესი და მუნიციპალიტეტის ხედვა კონკრეტული ტერიტორიის განვითარებასთან ან განვითარების შეზღუდვასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის იღებს საკმაოდ მტკივნეულ, თუმცა სწორ გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ხედვა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, ასახულია 2019 წელს მიღებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაში, რომელიც ადგენს ქალაქის განვითარების კონკრეტულ პრინციპებს და ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დოკუმენტია. ჩვენ დავიცავთ როგორც საჯარო, ასევე კერძო ინტერესებს და ყველა შემთხვევაში მოვიქცევით ისე, როგორც ეს არის კანონით გათვალისწინებული.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან საკითხის ამოღებას რეკომენდაცია გაუწია არა იმიტომ, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით იყო რაიმე პრობლემა, არამედ იმიტომ, რომ მუშაობა მიმდინარეობს მტკვრის სანაპიროს განვითარებაზე და აქედან გამომდინარე, განსახილველია, თუ რამდენად გააზრებულია ზემოთ ხსენებული საკითხი ერთიან კონცეფციაში. ასევე, კომენტარი გააკეთა თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ზურაბ პატარიძის სახელის მინიჭებაზე და განაცხადა, რომ მისი აუგად მოხსენიება მხოლოდ იმის გამო, რომ საბჭოთა საქართველოს დროს იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, არასწორია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნათია ვერძაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ბირბიჩაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა- ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.003.022.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

11. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, სახლი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.005.051.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

12. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

13. „ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV მიკრორაიონში, კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.010.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტლის კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

15. „ქალაქ თბილისში, ზემო ვერა (N 1)-ში არსებული 146 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.032) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.15.01.003.045; N01.15.06.001.061; N01.15.01.003.048; N01.15.06.001.060; N01.15.01.003.046; N01.15.06.002.021; N01.15.06.002.020 და N01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

17. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის“ (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

18. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.14.003.201) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის“ (ს/ნ.: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

19. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

21. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის“ (ს/ნ.: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

22. „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ.: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

23. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და N01.10.16.006.115 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

24. „ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

25. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

26. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მესამე მასივში (ნაკვეთი N06/037) საკადასტრო კოდი: N01.19.20.006.135; ფართობი 5276 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

27. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.142 და N01.10.18.006.197-ის ნაწილზე) საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საბავშვო ბაღი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში (საკადასტრო კოდი: N81.02.19.934, ნაკვეთის ფართობი 9502 კვ.მ.) თეატრალური მინი ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

29. „ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონი, I კვარტალი, მე-8 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.268, ფართობი 16078.00 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

30. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228, ფართობი 274666 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

31. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

32. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

33. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

34. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის, ლამის I შესახვევისთვის და ლამის III შესახვევისთვის ლამის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

35. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

36. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

37. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

38. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

39. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

40. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

41. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან არსებული უსახელო მოედნისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ზურაბ პატარიძის ქუჩისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

42. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზურაბ პატარიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ოთარ გრიგოლია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გადადის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში; მიხეილ ამაშუკელი ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობიდან გადადის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში; ნინო ლაცაბიძე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობიდან გადადის ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობაში; ალექსანდრე ხუჯაძე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გადადის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობაში; ჯაბა ჯიშკარიანი ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობიდან გადადის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნულ თანამდებობაზე წარადგინა ირაკლი ზარქუას კანდიდატურა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

მან აღნიშნულ თანამდებობაზე წარადგინა ოთარ გრიგოლიას კანდიდატურა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნულ თანამდებობაზე წარადგინა ნინო ლაცაბიძის კანდიდატურა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ღვიძლის ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში, კერძოდ, ქვეპროგრამით მოსარგებლეები შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებსაც მერიისთვის მიმართვამდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ რეგისტრაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, თუ ამ დროის განმავლობაში პირი არ დარეგისტირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილება განაპირობა განათლების სამინისტროში განხორციელებულმა რეორგანიზაციამ, რომლის შედეგადაც გაერთიანდა ორი სსიპ. აქედან გამომდინარე, შეღავათიან მგზავრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმწოდებლად განისაზღვრა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით დადგენილებაში აისახება მგზავრობის საფასურის გადახდის თანამედროვე მეთოდები, როგორებიცაა: პლასტიკური ბარათი, მობილური ტელეფონი, სამაჯური და ა.შ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა- ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელიც ეხება M3 კატეგორიის ავტობუსით ათიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვების უბილეთოდ გადაყვანას. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა აღნიშნული ცვლილებების ასახვა საკრებულოს დადგენილებაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, M1 კატეგორიის ნებართვის მფლობელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ გაიაროს ავტომობილის ტექნიკური დათვალიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება ნებართვის ჩამორთმევა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.003.022.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაახლოებით 333 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

